სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

28.01.2014 № 13

თბილისი

უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ
საგანამანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ
(შიდა მობილობა)

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014 წლის 3 თებერვლიდან 10 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე კვირის გარდა, 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №350);
2. უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა (სამშენებლო; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის; სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის; არქიტექტურის,

ურბანისტიკისა და დიზაინის; ბიზნეს-ინჟინერინგის; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების; დიზაინის საერთაშორისო სკოლა) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად არა უგვიანეს 11 თებერვლისა;

5. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შესახებ ბრძანებების პროექტის მომზადება უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2014 წლის12 თებერვლისა;

1. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
2. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ბ. მაისურაძე

დანართი 1

შიდა მობილობის მსურველთა მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი), დამოწმებული ბეჭდით;
4. სტუდენტის სტატუსის ცნობა;

შენიშვნა: მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად შექმნილი დროებითი საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.